ანალიტიკური წერა

II ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

გამომცემლობა დიდი ხნის განმავლობაში გამოსცემდა სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც გარემოს დაცვას უკავშირდებოდა. წიგნების ავტორები სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი მეცნიერები იყვნენ, რომელთა ნაშრომები გამოირჩეოდა მაღალი სამეცნიერო დონითა და აკადემიური სტილით, ასევე მოცემულ სფეროში თემატიკის მრავალფეროვნებით.

შემოსავლის გაზრდის მიზნით, გამომცემლობამ გადაწყვიტა საგამომცემლო პოლიტიკის შეცვლა, კერძოდ, სამეცნიერო წიგნები მთლიანად ჩაანაცვლა სამეცნიერო-პოპულარული მრავალპროფილიანი ჟურნალით. ავტორებად გამომცემლობამ მოიწვია ჟურნალისტები, რომლებიც სხვადასხვა საკითხზე მუშაობენ და წერენ სტატიებს ხელოვნების, ისტორიის, პოლიტიკისა და ბუნების თემებზე. ჟურნალი სქელტანიანია, უხვად ილუსტრირებულია და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული.

ჟურნალის გამოცემიდან ნახევარი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გამომცემლობის შემოსავალმა კი არ იმატა, არამედ იკლო. გამომცემლობამ დაასკვნა, რომ საგამომცემლო პოლიტიკის შეცვლამ არ გაამართლა.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია გამომცემლობის შემოსავლის კლება. კრიტიკულად შეაფასეთ გამომცემლობის მიერ გამოტანილი დასკვნა.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

იმისათვის, რომ ხელოვანმა სახელი გაითქვას, არ არის აუცილებელი, რომ მან თავისი ქვეყანა დატოვოს და სხვაგან იმოღვაწეოს.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.